საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—85.

ფასი 5000 მან.

№ 182

შაბათი, აპრილის 1

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1922 წ. 2 აპრილს, კვირას, ნაშუადღევის პირველ საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის თავის პანაშვიდი

**ილარიონ ტარიელის ძის**

## ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აცნობებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა ნატალია ალმასხანის ასული, ვაჟები გიორგი და შალვა მეუღლეებითურთ, ქალები ანიკო ქავთარაძისა და ნინა ცაგარლისა და სიძეები პეტრე ქავთარაძე და ივანე ცაგარელი.

## განცხადება.

## ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

ამა წლის მარტის 25-ს სავალდებულო დადგენილების № 4 ცხოვრებაში გასატარებლად საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის ფარგლებში მდებარე სახლების მესაკუთრეთა რეგისტრაცია დაიწყება ამა წლის აპრილის 4-დან ქალ. აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფილებაში (ოთახი № 52).

მესაკუთრენი უნდა გამოცხადდნენ სათანადო განცხადების წარსადგენად, საბანკენტო ფურცლის შესავსებად და სარეგისტრაციო ბარათის მისაღებად, შემდეგი წესით:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 აპრილიდან | —1-ლ უბანში | მდებარე | სახლების | მესაკუთრენი. | | |
| 11 | „ | 2 | „ | „ | „ | „ |
| 18 | „ | 3 | „ | „ | „ | „ |
| 25 | „ | 4 | „ | „ | „ | „ |
| 2 მაისს | | 5 | „ | „ | „ | „ |
| 9 | „ | 6 | „ | „ | „ | „ |
| 16 | „ | 7 | „ | „ | „ | „ |
| 23 | „ | 8 | „ | „ | „ | „ |
| 30 | „ | 9 | „ | „ | „ | „ |
| 6 ივნისი | | 10 | „ | „ | „ | „ |
| 13 | „ | 11 | „ | „ | „ | „ |
| 20 | „ | 12 | „ | „ | „ | „ |

ის სახლები, რომელთა მესაკუთრენი არ გამოცხადდებიან სარეგისტრაციოდ, ცნობილი იქმნება როგორც უპატრონო.

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი.

## სახელმწიფო კონსერვატორია

ხუთშაბათს, აპრილის 6-ს დღე ხარება.

**ტიციან ტაბიძის**

## პოეზიის საღამო

1 მოხსენებები და სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, პავლე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალი არსენიშვილი, შალვა აფხაიძე და ვლადიმერ ელსნერი.

2 კონფერანსი პოეტების: გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე, კ. ჭიჭინაძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, რაჟდენ გვეტაძე, გრ. ცეცხლაძე, შალვა აფხაიძე, ტერენტი გრანელი, გ. აგარელი.

3 თარგმანები ლექსების: სერგეი რაფალოვიჩი, რიურიკ ივნევი, ვლ. ელსნერი, ო. მანდელშტამი, ნინა ვასილიევა, დემენტ დემირჩიანი.

4 ლექსების კითხვა: გრიგოლ ერმოლოვი და თამარ ჭავჭავაძე.

5 ტიციან ტაბიძე წაიკითხავს უკანასკნელ ლექსებს და „ცხენს ანგელოსით“ სიტყვა: „ორპირის ოქროპირი მელდარორი“.

საქ. მწერალთა კავშირის წევრებისთვის შესვლა უფასოა.

შესავალი ბილეთები 10 ათასი მანეთი.

ბილეთები 150 ათას მანეთიდან 10 ათას მანეთამდე.

ბილეთები იყიდება: ხელოვნების სასახლეში, რედაქცია „ბარრიკადი“ და „ქიმერიონში“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დღეს, აპრილის 1-ს საღამოს 5 საათზე

## სახელმწიფო ოპერის შენობაში

შესდგება საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა, ქალაქ ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმისა, პროფესიონალური კავშირის საბჭოსი პლენუმის საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტისა და გარნიზონის წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა.

სხდომის საგანია „საბჭოთა რესპუბლიკებისა საერთაშორისო მდგომარეობა.“

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

თ. კალანდაძე.

## ანტანტა და ახლო აღმოსავლეთის საკითხი

პარიზიდან მოსული რადიო გადმოგვცემდა შედეგებს იმ თათბირისას, რომელიც მოწვეული იყო ანტანტის საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოსაწესრიგებლად. თათბირის სახელით უკვე გაგზავნილი არის ათინაში ანგორასა და კონსტანტინოპოლში ნოტა, რომელიც შეიცავს მოსალოდნელ ზავის პირობებს. ნოტაში ნათქვამია, რომ მოკავშირეთა სახელმწიფოების ჩარევას საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტში აქვს კეთილნებით შუამდგომლობის ხასიათი და ემსახურება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში ზავის დამყარების მიზანს.

როგორის ფორმებში და როგორის შინაარსით ცდილობს ანტანტის საგარეო საქმის მინისტრები მოაგვარონ ახლო აღმოსავლეთის საკითხი? როგორც „პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, პარიზის გადაწყვეტილებანი მხოლოდ ფორმულიროვკა არის ანტანტის სურვილებისა ახლო აღმოსავლეთის საკითხში. აღბად ამ ფორმულიროვკას რეალური სახე უნდა შეეხსნა და გარკვეულს კონკრეტიულს ფორმებში ჩამოყალიბოს სხვა კონფერენციამ. პარიზის თათბირმა მხოლოდ შეთანხმებული ხაზი მონახა ანტანტის მოკავშირეთა შორის, რომელთა ინტერესები ახლო აღმოსავლეთის საკითხში ასე დაშორებული და საკმაოდ დაპირისპირებული იყო ამ ახლო წარსულში. მოკავშირენი შეთანხმდნენ აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, მათ ერთი გარკვეული გეგმა შეიმუშავეს საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტის სალიკვიდაციოდ და ოტომანიის იმპერიის მომავლის შესახებ გარკვეული სიტყვა სთქვეს, ეს სიტყვა და გეგმები სარჩულად უნდა დაედვას იმ კონფერენციას, რომელიც მოხდება ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოსასპობად. ანტანტამ ამ კონფერენციას გარკვეული გეგმა მისცა და უკარნახა ის, რასაც მისი დღევანდელი ინტერესები მოითხოვდა.

როგორია ამ გეგმის შინაარსი? იგივე „პტი პარიზიენი“ გადმოგვცემს, რომ არც ერთი გამოტანილი დადგენილება არ აყენებს შეურაცხყოფას არც საბერძნეთისა და არც ოსმალეთის ნაციონალურს თავმოყვარეობას. ამგვარად, ანტანტა დაჩაგრული და ჩამორჩენილი ერების ნაციონალური თავმოყვარეობის პატივისმცემელის როლში გამოდის და სცდილობს ყოველი ერის საკითხი ამ ერის ინტერესების მიხედვით გადასჭრას.

გაზეთი განაგრძობს: მოკავშირეები სცდილობენ ოსმალეთის და მისი ძლიერების აღდგენას და სურთ მიანიჭონ ოსმალეთს შესაძლებლობა დამოუკიდებელ ნაციონალურ განხორციელებამდე მიღწევისა. სტამბოლი კვლავ ხდება ოსმალეთის სატახტო ქალაქი. ამგვარად ხდება სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა. ახალი ხელშეკრულების პროექტი უბრუნებს ოსმალეთს სუვერენიტეტს მთელ რიგ ადგილებზე, სმირნა ხდება კვლავ ოსმალეთის, მცირეოდენი ცვლილებით, ხალიფატი აღსდგება სავსებით. ფრაკიის ნაწილობრივ ევაკუაციას მოახდენს ბერძნები, ანდრიანოპოლიც ღებულობს ავტონომიურს მართვა-გამგეობას. აგრეთვე გადაწყვეტილია უზრუნველჰყონ სრუტეების თავისუფლება ანატოლიის ნაპირის ნეიტრალიზაციის საშუალებით. საბერძნეთს უტოვებენ გალიპოლის ნახევარს კუნძულს და სხვა. ასეთია მოკლედ შინაარსი იმ შეთანხმებისა, რომელიც გამოიტანა მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პარიზში. აქედან ნათელი ჰდება, რომ მოკავშირენი სავსებით შეთანხმდნენ ოსმალეთის კითხვაში, რასაც პარიზის გაზეთების ცნობებიც ამტკიცებს.

ამგვარად ჩვენ ახალ მომენტის წინაშე ვსდგებით და ახლო აღმოსავლეთის საკითხი ახალს პერიოდში შედის, ახალს სახეს ღებულობს.

ინტერესს არ არის მოკლებული, რომ რამოდენიმე მომენტი ახლო წარსულიდანაც გავიხსენოთ ოსმალეთის საკითხის შესახებ და დღევანდელი ხელშეკრულების პროექტი დაუპირისპიროთ იმ ხელშეკრულებას, რომელიც მოკავშირეებმა გამოუტანეს სევრში ომის პროცესში დამარცხებულ ოსმალეთს.

ოსმალეთის საკითხი ერთ იმ ძნელ კითხვათაგანი შეიქმნა მოკავშირეებისათვის, რომლის რეალურ გადაწყვეტას ეწინააღმდეგებოდა არა მარტო ოსმალეთის ხალხის ძლიერი ნებისყოფა, არამედ თვით გამარჯვებულ მოკავშირეთა შეუთანხმებლობა და ინტერესთა წინააღმდეგობა.

აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხში ანტანტამ აშკარა დამარცხება განიცადა და როგორც დღევანდელი პროექტი მოწმობს, ძირიანად შესცვალა სევრის პირობებზე აგებული პოლიტიკა.

სევრში გამარჯვებულმა ანტანტამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოსმალეთს და მისი დამოუკიდებლობის მოსპობას შეუდგა. გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და საერთოდ ევროპის საქმეების „მოგვარების“ შემდეგ, მოკავშირენი შეუდგნენ ოსმალეთის გადაყოფას და მის განადგურებას. ოსმალეთის დამორჩილებისათვის საჭირო იყო კონსტანტინეპოლის დაპყრობა. ბოსფორსა და დარდანელში შეყვანილ იქნა ძლიერი ესკადრა, კონსტანტინეპოლი კი დაიკავა 75 ათასმა საოკუპაციო ჯარმა. მცირე აზიის გადაყოფაც ამ მომენტიდან დაიწყო: ინგლისმა დაიკავა მესოპოტამია, საფრანგეთმა—კილიკია, იტალიამ—ადალიის მხარე, საბერძნეთმა მოახდინა სმირნის ოლქის ოკუპაცია. ამგვარად ოსმალეთი ფაქტიურად გადაყოფილი შეიქმნა მოკავშირეთა შორის და ევროპის გამარჯვებულმა იმპერიალიზმმა იგი გადააქცია თავის კოლონიად.

სევრის ხელშეკრულება ამ საერთო დებულებაზე იყო აღმოცენებული და ორს უმთავრეს მომენტისაგან შესდგებოდა: 1) იგი სპობდა ოსმალეთის სუვერენობასა და დამოუკიდებლობას, ანაწილებდა მის ტერიტორიას, რომლიდანაც, 2) უნდა შექმნილიყო წვრილი სახელმწიფოებრივი ერთეულები ანტანტის პროტექტორატის ქვეშ (არაბეთი, პალესტინა, სომხეთი, ქურთისტანის ავტონომიური რესპუბლიკა და სხვ.

საერთაშორისო ომის ვითარებამ ოტომანიის სახელმწიფოს ბედი ქარტაზე დასვა და განაჩენი გამოუტანია სევრის ხელშეკრულების სახით. მოკავშირეებს ამით ადვილად ერთხელ და სამუდამოდ მოესპოთ დამოუკიდებელი ოსმალეთის არსებობა და მხოლოდ მისგან გამოყოფილ წვრილ ერთეულებთან ქონოდათ საქმე. ამას არსებითად მოითხოვდა ანტანტის საგარეო პოლიტიკა და ის ინტერესები, რომელიც დასახული ქონდა განსაკუთრებით ინგლისს აღმოსავლეთის ქვეყნებში.

მაგრამ გამარჯვებულ ანტანტის პოლიტიკა ოსმალეთის ხალხის ძლიერ ნაციონალურს შეგნებასა და ნებისყოფას დაეჯახა, რამაც არსებითად შესცვალა ახლო აღმოსავლეთის გეგმები. სევრის ხელშეკრულებამ დიდი ეროვნული მოძრაობა გამოიწვია ოსმალეთში, განსაკუთრებით მან რეალური სახე მიიღო და იარაღით ხელში დაუპირისპირდა ანატოლიის მიდამოებში. ოსმალეთის ხალხი არ დაეთანხმა ევროპას ჯალათების გადაწყვეტილებას და მტკიცედ შეუდგა იარაღით თავისი უფლებების დაცვას. ამ მოძრაობას ახასიათებდა მხოლოდ ნაციონალური მომენტი, რომელიც ორი მთავარი მუხლისაგან შესდგებოდა: 1) დაცვა ოსმალეთის სუვერენობისა და დამოუკიდებლობისა და 2) შენარჩუნება ოსმალეთის ტერიტორიის მთლიანობისა.

მოკავშირენი მეტის მეტად რთული საკითხის წინაშე დასდგნენ. დამარცხებული ოსმალეთი ასე ადვილად არ დანებდა ანტანტას გასაძარცვავად და ოსმალეთის ნაციონალური მოძრაობა დიდ საფრთხეს უმზადებდა თავისთავ და ინგლისის მთელს აღმოსავლეთის პოლიტიკას და მის მეთაურობას განსაკუთრებით ინდოეთში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანატოლიის მოძრაობა სრულ საერთაშორისო პირობებში დაიწყო, რაც რუსეთის კომუნარების წითელი არმია და მთელი საბჭოთა პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნებს უპირებდა კაპიტალისტურ მსოფლიოს. რუსეთის კომუნარებისათვის, ისე როგორც ანატოლიის ნაციონალისტებისათვის ორივე მხარის შორის შეთანხმება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა და მათ შორის ურთიერთობის ქსელი გაიბა. ანტანტა გართულებულ პირობების წინაშე დასდგა, შიგნით მუშათა მოძრაობა, გარედან კი რევოლიუციონური ძალების თანდათანობითი განვითარება. მაგრამ ამ გართულებულ მდგომარეობიდან ანტანტის გაქნილმა დიპლომატებმა შესძლეს თავის დაღწევა: რუსეთის რევოლიუციას რუსეთისავე კონტრ-რევოლიუციის რკალი შემოარტყეს და კოლჩაკ-დენიკინის ბანდების საშუალებითა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დახმარებით გარდუვალი ზღუდე აღმართეს რუსეთის რევოლიუციასა და ანატოლიის ნაციონალურ მოძრაობის შორის, მეორეს მხრით ანატოლიის ნაციონალისტებს ბერძენთა საოკუპაციო ჯარები შეუსიეს და ამგვარად, ეს ორი მხარე შინაგან ბრძოლის პროცესში ჩააბეს.

მაგრამ შემდეგში მდგომარეობა არა ანტანტის სასარგებლოდ შეიცვალა. რუსეთის წითელმა არმიამ გაანადგურა კონტრ-რევოლიუციონური რკალი და ამიერ-კავკასიის „სოვეტიზაციაც“ მოახდინა. ამ გვარად რუსეთის რევოლიუცია პირ და პირის გზით მიადგა ახლო აღმოსავლეთის შესავალ კარებს, რაც უდიდეს განსაცდელს უმზადებდა ანტანტას. თვით ოსმალეთის მოძრაობა ვერ იქმნა ძლეული და თან და თან მკაცრ ხასიათს ღებულობდა. ბერძნების ჯარებმა ვერ შესძლეს ანატოლიის ნაციონალისტების განადგურება, თვით ანტანტას ფაქტიურად ომში ჩარევისათვის არ ჰქონდა საშუალება. ამ ასეთს გარდუვალს მდგომარეობის წინაშე დადგა გამარჯვებული მოკავშირენი. ეს გარემოება პოლიტიკის შეცვლასა და ძველი პირობების რევიზიას მოითხოვდა. განსაკუთრებით ინგლისი იძულებული გახდა დათმობის გზას დასდგომოდა და მოწინააღმდეგე მხარესთან ხელ შეკრულებაში შესულიყო. სწორედ ამ პოლიტიკური მომენტით აიხსნება უმთავრესად ის ფაქტი, რომ ინგლისმა 1921 წელში სავაჭრო ხელშეკრულება დასდვა მის მიერ აქნობამდე უარყოფილ საბჭოთა რუსეთთან. ამ ხელშეკრულების ერთს უმთავრესს მუხლს შეადგენდა ბოლშევიკების მხრით რაიმე აქტიურის პოლიტიკაზე ხელის აღება აზიაში. ამით ინგლისმა ერთგვარი პოლიტიკური ზღუდე დაუდვა ბოლშევიკების მოძრაობას აზიაში. ოსმალეთის ნაციონალისტების მიმართ კი განაგრძო ბერძნების შეტევა და ძველი შეურიგებელი პოლიტიკა.

მაგრამ პირობები სულ კალეიდოსკოპივით შეუჩერებელი შეიქმნა. ანტანტის პოლიტიკამ ვერ შესძლო—შეიარაღებული ძალებით რუსეთისა და ოსმალეთის მოძრაობის განადგურება. ეს ელემენტები კვლავ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ ანტანტის ბატონობისათვის.

მაგრამ საერთაშორისო პირობები შეიცვალა.

დანაწილებულმა მსოფლიომ ვერ შესძლო იზოლიაციის გზით არსებობა. ყველა მოწინააღმდეგე ძალებისათვის აუცილებელი შეიქმნა შეთანხმების გზაზე დადგომა და დროებით მაინც ერთი შემარიგებელი გეგმის გამომუშავება. გენუას კონფერენციაც ამ საერთო აზრს ემსახურება. იგი, ასე ვსთქვათ, უკვე არსებულ შეთანხმების დამაგვირგვინებელი უნდა შეიქნეს და მოგვცეს შემდეგი ურთიერთობის შემათანხმებელი პროგრამა. გენუას კონფერენცია არსებითად განსხვავდება სხვა მის წინ არსებულ კონფერენციებისაგან. აქ ერთი მეორეს წინაშე წარსდგებიან არა დამარცხებული და გამარჯვებული მხარეები, არამედ თანაბარს პირობებითა და უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფონი. გენუა ერთგვარი უდიდესი რევიზია იქნება ანტანტის ძველი პოლიტიკისა, რომელმაც გაადატაკა მთელი მსოფლიო და სრულიად კრახით დამთავრდა. ამ რევიზიის მოხდენის წინა დღეებში ანტანტა სცდილობს რეალურად შეასწოროს მის მიერ წახდენილი მდგომარეობა და ახალი კონკრეტული ფაქტები შექმნას მისდა სასარგებლოდ. ოსმალეთისა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის საკითხის გენუას კონფერენციამდე გადასინჯვა და მისი მოწესრიგება სწორედ ამ მიზნით არის გამოწვეული—აღმოსავლეთის საკითხში ანტანტამ სრული დამარცხება განიცადა, ისე როგორც გერმანიის, რუსეთისა და სხვა მრავალ

კითხვებთაგანი. როგორც დავინახეთ სევრის ხელშეკრულება, რომელიც აგებული იყო ოსმალეთის დანაწილების ნიადაგზე, საწინააღმდეგო მოვლენებით შეიცვალა და პარიზის თათბირმა ახალი ხელშეკრულების პროექტი გამოიმუშავა ოსმალეთისათვის. ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის ჭეშმარიტი დებულება, რომ ვერსალისა და სევრის ხელშეკრულების ცხოვრებაში სავსებით გატარება შეუძლებელია. ამაში სავსებით დარწმუნდა ანტანტა ოთხი წლის მწარე ბრძოლისა და გაცხოველებული დიპლომატიური ვარჯიშობის შემდეგ. სევრის ხელშეკრულება ერთი მნიშვნელოვანი უკანასკნელი საერთაშორისო აქტი იყო ვერსალის ხელშეკრულების ტიპისა, შეიძლება ითქვას, უფრო მარტივი და შეუბრალებელი. დღეს პირობები იმდენად შეიცვალა არა ანტანტის სასარგებლოდ, რომ იგი იძულებულია ეს ავაზაკური ხელშეკრულება გადასინჯოს და დათმობის გზას დაადგეს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია და სევრის პირობების უარყოფიდან თვით ვერსალის ხელშეკრულობის უარყოფამდე უნდა მივიდეს ანტანტა: მან პირველმა უნდა განვლოს ის პროცესი, რომელიც გაიარა საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ, მხოლოდ სხვა შინაარსითა და სხვა პროგრამით. მაშინ პროტესტი მიდიოდა ვერსალიდან სევრამდე,—ახლა იქნება სევრიდან ვერსალისაკენ. გენუას კონფერენციამ კაცობრიობას უნდა მისცეს დამთავრებული რევიზია, ან კრიტერია რევიზიისათვის ვერსალში შემუშავებულ პირობების შესახებ. ეს იქნება სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დაყოფილ მსოფლიოში.

ამ მომენტის დასაწყისი ჩვენ უნდა დავინახოთ სევრის ხელშეკრულების სამარცხვინო უარყოფაშიაც მაგრამ სევრის ხელშეკრულების რევიზია არ შეიძლება მარტო ამ საზომით იქნეს განხილული.

ეს არის მხოლოდ ერთი შესაძლებლობა, რომელიც შესაძლებელია მოჰყვეს სევრის პირობების გადასინჯვას, და ამისათვის საკმაოდ საშუალებაც არსებობს. ეს არის მშვიდობიანობის გზა, მორიგების საშუალება. მაგრამ ევროპას სხვა გზაც აქვს, ეს გზა სისხლისა და ომის საშუალებით ვითარდება. სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა ასეთს საშუალებასაც შეიძლება დაედვას სარჩულად.

ამ ხელშეკრულების უარყოფით ევროპის დიპლომატია სცდილობს ხელსაყრელი პირობები შექმნას გენუას კონფერენციაზე. მისთვის აღმოსავლეთის დღევანდელი მდგომარეობა უდიდეს მტკივნეულს მხარეს წარმოადგენდა. მან დასთმო ამ საკითხში, რომ მოიგოს მეორე საკითხში, ეს მეორე საკითხი არის რუსეთის საკითხი. არ შეიძლება გადაჭრით იმის თქმა, რომ ანტანტა სავსებით ხელს აიღებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თუ გინდ დღევანდელს პირობებშიც.

ჩვენს წინ მეორე შესაძლებლობაც იშლება. შეუძლებელია, აგრეთვე გადაჭრით იმისი თქმაც, რომ ანტანტამ სევრის ხელშეკრულება მხოლოდ გენუას კონფერენციაზედ მოქნილი დიპლომატიური მანევრებისათვის დასთმო და მას არ ამოძრავებს რაიმე სხვა რეალური ზრახვანი. ჩვენს წინ საკითხი სდგას: როგორი კომპენსაციას ითხოვს ანტანტა ოსმალეთისაგან სევრის პირობების უარყოფაში? მხოლოდ პირობების გაუმჯობესობას ახლო აღმოსავლეთში და მისი მოკავშირეთა რიგში ჩაწერას, თუ კიდევ უფრო მეტს? რაში უნდა გამოიხატოს ამ უკასკნელის შინაარსი, ყველასათვის ნათელი იქნება ვინც არის ასე თუ ისე საერთაშორისო პოლიტიკის კურსში და იცის ოსმალეთისა და ინგლისის მიზნები ამიერკავკასიაში. ჩვენ ამ საკითხზე, აქ არ შევჩერდებით.

ამ გვარად სევრის ხელშეკრულების რადიკალური გადასინჯვასა და ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შეცვლას ორი უმთავრეს შესაძლებლობის წინაშე შეუძლია დაგვაყენოს: იგი ან დიპლომატიური მანევრია ანტანტის მხრით, გენუაში მაქსიმუმი გამარჯვების მისაღწევად, მაშასადამე პოლიტიკური ხერხი ან სამარი იარაღი, რომლითაც სურს ანტანტას ახალი გართულებული პირობები და საფრთხე შეუქმნას რუსეთს ამიერ-კავკასიაში.

ორივე შემთხვევისათვის საბჭოთა რესპუბლიკები მტკიცედ უნდა იდგნენ თავიანთ პოზიციაზე და ენერგიულად უნდა დახვდნენ მტრებს, როგორც დიპლომატიურს ფრონტებზე, ისე სამხედრო გამოსვლებში.

დღეს გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია, თუ რომელს გზას დაადგება ანტანტა. მაგრამ შექმნილი საერთაშორისო პირობები და კონიუნქტურა ვფიქრობთ, უფრო მეტს შანსებს იძლევა იმისათვის, რომ ანტანტა პირველი გზისაკენ მიჰმართავს თავის პოლიტიკას.

ხომ. ხუნდაძე.

## რუსეთის კომპარტიის ყრილობაზე

**მოსკოვი.** 28 მარტი. გუშინ კრემლში გაიხსნა რუსეთის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობა. პრეზიდიუმის მაგიდასთან გამოდის ლენინი, რომელსაც დელეგატები დიდი და მხურვალე სალამით ეგებებიან.

**ამხ. ლენინის მისასალმებელი სიტყვა**

ეს ყრილობა, ამბობს ამხ. ლენინი, იკრიბება ჩვენი პარტიის მძიმე და ძალიან დაჭიმული მუშაობის ერთი წლის შემდეგ, ამ ერთი წლის განმავლობაში ამასთანავე ჩვენ გვიდგლვებდა (გაურკვეველია) ინტერვენციის მუქარა. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მთავარი მძიმე მომენტები ჩვენ დავსძლიეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კიდევ არ მოგველოდეს ბრძოლა მრავალ უმძიმეს საფრთხესთან. ამ ყრილობის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენს ჩვენი პარტიის განმტკიცება და მისი მთლიანობის დაცვა. ჩვენ აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ კომუნისტური მოძრაობის ზრდა საერთაშორისო მასშტაბით. ამასთანავე ჩვენ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი დასავლეთის კომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობის შესახებ.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობა გადადის დღიურ წესრიგის პირველ საკითხზე—ცეკას პოლიტიკურ ანგარიშზე. მოხსენებას. კითხულობს ამხ. ლენინი, რომლის სიტყვა ორ საათზე მეტს გრძელდება.

**ამხ. ლენინის სიტყვა**

ამხ. ლენინის სიტყვა გაჟღენთილი იყო მისი ჩვეულებრივი ოპტიმიზმით, მიუხედავად მრავალი საყვედურისა, რომელიც მან გამოსთქვა ჩვენი უცოდინარობისა, შეცდომებისა და უთავბოლობის გამო, ლენინის მოხსენება აფერადებული იყო მრავალი მახვილი სიტყვით, დამახასიათებელი ინტონაციით და ადგილებით, რაიც იზიდავდა ყურადღებას და ხელს უწყობდა ამხანაგური კავშირის ატმოსფერის შექმნას მომხსენებელსა და აუდიტორიას შორის.

**გენუას კონფერენცია.** თავის მოხსენებას ამხ. ლენინი იწყებს გენუას კონფერენციის საკითხიდან. მომხსენებელი აცხადებს, რომ მას არ შეუძლიან დეტალურად შეეხოს ცენტრალი კომიტეტის ფრიად რთულ მუშაობას ამ საკითხის გარშემო. ყველა ვინც მოისურვებს შეუძლიან გაეცნოს უამრავ მასალას, რომელიც ცენტრ. კომიტეტშია.

„პრესა მეტად დიდ ადგილს უთმობდა ამ საკითხს“,—სთქვა ლენინმა,—„დიდი ქონდა ამ თემის გარშემო მრავალ პოლიტიკურ ხმაურს, რაც არ იყო საჭირო. ცენტრალმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო ყველა აუცილებელი ზომები: გენუაში გასაგზავნ დელეგაციაში შედის გამოცდილი და მცოდნე ამხანაგები, რომელთაც ოთხი წლის განმავლობაში ისწავლეს და იციან საბჭოთა დიპლომატია. კითხვები, რომელიც დაკავშირებულია გენუას კონფერენციასთან არის შეჯიბრების კითხვები. არის მიმდინარეობა, რომელსაც სურს, რათაც არ უნდა დაუჯდეს ჩაშალოს კონფერენცი, არის მეორე მხარე, რომელიც ცდილობს მის დაცვასა და გადარჩენას. გენუაში ჩვენ მივდივართ არა როგორც კომუნისტები, არამედ როგორც ვაჭრები—სავაჭროდ. ეს გვინდა ჩვენ და ეს სურთ იმ ხალხსაც და ჩვენ მივდივართ იმ მიზნით რომ მივაღწიოთ (გაურჩეველია). და გავიკაფოთ გზა, მაგრამ აქ წინ გვიდგება დიდი დაბრკოლებანი.

**ახალი ეკონომიური პოლიტიკა.** ამხ. ლენინი გადადის მოხსენების მეორე ნაწილზე, რომელიც უმთავრესად ეხება ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. „საჭიროა, ამბობს ამხ. ლენინი, გავითვალისწინოთ ჯამი იმისა, რაც ჩვენ გავაკეთეთ, საჭიროა გამოვარკვიოთ, თუ რა პოლიტიკური გაკვეთილები მივიღეთ ჩვენ. აქ უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს გლეხის ეკონომიის შეთანხმება. ჩვენ პირველად გავარღვიეთ კიდეც კაპიტალისტური მსოფლიოსი და და მოვაწყვეთ წარმოება სოციალურ ნიადაგზე. სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის შესახებ ბევრს ლაპარაკობდა ჩვენი პრესა, მაგრამ სამწუხაროდ წიგნები ამ საგანზე ჩვენ არა გვაქვს, მარქსსაც კი არ დაუტოვებია არც ერთი ციტატა. ჩვენ ვიცით რა არის სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კაპიტალისტურ საზოგადოებაში და არა ნაკლებად გვესმის რას ნიშნავს იგი კომუნიზმის დროს.

სახელმწიფოებრივი კაპიტალისტები —ეს ჩვენი ვართ, ეს არის ჩვენი სახელმწიფო დაწესებულებანი, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ჩამოვდექით ბურჟუაზიული გზიდან და ჯერ კიდევ არ გავსულვართ საკუთარ გზაზე.

**უკან დახევა შეჩერებულია.** „ცენტრალურმა კომიტეტმა, აცხადებს ამხ. ლენინი, დაადგინა ერთხელ კიდევ დაადასტუროს აზრი, რომელიც მე გამოვსთქვი მეტალისტთა ყრილობაზე: უკან დახევა შეჩერებულია, უკან დახევა აღარ მოხდება. ცენტრალური კომიტეტის მთავარი საზრუნავი იყო ერთგვარი გადაჯგუფების მოწყობა (გაურჩეველია) რომ უკან დახევა წესიერი ყოფილიყო; საჭირო იყო არ მივსცემოდით პანიკს. ამ მხრივ მუშათა ოპოზიციის გამოსვლა იყო პანიკის თესვა, რომლის გამო სუსტი კომუნისტი—უცხოელები მოსთქვამდნენ მწარე ცრემლებით (გამოშვებულია, გაურჩეველია). ყოველგვარ უკან დახევის დროს სრულიად ბუნებრივია მოწყენილობა, რომელსაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ პირველ რიგში. აი რატომ უნდა ვაყენოთ ჩვენ დაუნდობლობა პანიკის მთესავთა მიმართ—მენშევიკების მიმართ. რომელნიც არიან ყველაზე მეტად ავი აგენტები თეთრგვარდიელებისა. ჩვენ დღემდე მოვასწარით შექმნა 18 შერეული საზოგადოებისა, რომელშიაც მონაწილეობს კერძო კაპიტალი სახელმწიფოებრივთან ერთად. ჩვენ მოვახერხეთ ერთგვარი შეთანხმების დამყარება კაპიტალისტებთან, ჩვენ უნდა მოვაღწიოთ მასვე გლეხობასთან — ეს არის ჩვენი ძირითადი ამოცანა.

**ევოლუცია თუ ტაქტიკა.** შემდეგ ამხ. ლენინი ჩერდება „სმენა-ვეხის“ ჯგუფის მიერ აღძრულ საკითხზე: ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა რა არის ეს, ევოლუცია თუ ტაქტიკა. „სმენა“ ამტკიცებს, რომ ეს წარმოადგენს ბოლშევიზმის ევოლუციას. ჩვენ უნდა უკუვაგდოთ კომუნისტური სიცრუე „კომსიცრუე“. ჩვენთვის ფრიად სასარგებლოა მოვისმინოთ კლასიური სიმართლე ჩვენი კლასიური მტერის. კოლჩაკის ყოფილი მინისტრი უსტრიალოვი ამტკიცებს, რომ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკით ჩავცორდებით ბურჟუაზიულ ორმოში. ჩვენი ამოცანაა—ეს შეუძლებლად გავხადოთ. პოლიტიკური და ეკონომიური მმართველობის მთელი ძალა ჩვენს ხელშია, მაგრამ ჩვენ არ გვყოფნის კულტურა. ბურჟუაზიული კულტურა ცუდი და უბადრუკია, მაგრამ ის უფრო ძლიერია ახალ პროლეტარულ კულტურაზე, მას უნარი შესწევს მოიგლოს დაწესებულების საქმეში მდგომი პასუხისმგებელი კომუნისტური, ბურჟუაზია დამარცხებულია, მაგრამ რა არის გადალახული ბურჟუაზიული კულტურა“. შემდეგ თავის სიტყვაში ამხ. ლენინს მოჰყავს ორი ცოცხალი მაგალითი საგარეო ვაჭრობას და დონბას აუზის პრაქტიკიდან, რომელიც მოწმობს ჩვენს

## ეგნატე ნინოშვილი

ქართველ პროლეტარიატს და ღარიბ გლეხკაცობას გურიაში, სოფელი ჩოჩხათის ეკლესიის გალავანში, ერთი „ძვირფასი სასაფლაო“ ეგულება.

მარა, ვიდრე ეგნატე ნინოშვილზე ჩემს მოგონებას გავუზიარებდე მკითხველს, მსურს აქვე წინდაწინ მისი ნაწერების მოკლე კრიტიკული დახასიათება წარმოვადგინო და ისე წარვსდგე ჩვენი გაზეთის მკითხველის წინაშე.

ეგნატე ნინოშვილი იყო პირველი ქართულს ლიტერატურაში, რომელიც ზედმეტად გაჭირვებული გურული გლეხების ცხოვრებას შეეხო და მერე, ისეთი მიმზიდველი, ნაზი ხელით აწერა ეს გაჭირვებული გლეხის თავგადასავალი, რომ მან მაშინვე მიიქცია ყურადღება, დაიმსახურა კიდეც ჩვენი ახალი თაობის ღრმა სიყვარული და დიდი პატივისცემა.

ერთ წუთსაც ნუ დაივიწყებს ეგნატე ნინოშვილის ნაწერების მკითხველი, რომ ავტორი ცხოვრობდა და იღვწოდა ალექსანდრე 3 რომანოვის ზავუკუღმართს დროში, როცა ჩვენს ირგვლივ, რუსეთსა და საქართველოში, სრულიად წყვდიადი და უსასტიკესი რეჟიმი იყო გამეფებული. ასეთს „უკუღმართს“ დროში ნიჭიერი მწერლის კალმით მოღვაწეობა ნამდვილი ტიტანის, ამირანის ტანჯვა და წამება იყო.

მარა მშრომელი ქვეყნისა და დემოკრატიის საკეთილდღეოთ, ეგნატეს თავი ჰქონდა გაწირული და მან თვისი ხანმოკლე სიცოცხლე, სწორედ რომ სასახელოთ გაატარა. ეგ. ნინოშვილი ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ნამდვილი ხალასი რეალისტია. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რეალური ხაზები, უღარიბესი გლეხების ყოფა-ცხოვრება შვენიერათ აქვს ავტორს განცდილი და აღწერილიც. ეგნატე განსაკუთრებით ღრმად და ზედმიწევნითაც იცნობს შვენიერი გურიის მდიდარს ცხოვრებას, გურულ ადამიანის ზნე-ხასიათსა და ბუნებას, რისი საუცხოო მაგალითებიც შეგიძლიათ ნახოთ მის მიერ დაწერილ მოთხრობებში. აქ არის ცოცხლათ დახატული გურიის სოფლის ავი და კარგი, ჭირი და ლხინი, სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, ბედნიერება და უბედურება ღარიბი გლეხის კარ-მიდამო, ფაცხა, ნალია, შემოღობილი ეზო-ბოსტანი, ყანა და მეზობლები, აქვეა აწერილი ამ გლეხის ოჯახი, ცოლ-შვილი; ჯალაბობა, ნათესავები და მოყვრები; აქვეა დახატული მათი ურთიერთობა და მეზობლობა, სოფლის სულიერი მამის—მღვდლის, სოფლის მასწავლებლის, სოფლის მწერლის მოქმედებანი, აღწერილი დიდი დაკვირვებითა და იუმორით. ერთი სიტყვით, ღარიბი და გაჭირვებული სოფლის უმწეო და უსინათლო ცხოვრება ავტორის მადლიანი კალმის ერთი უძლიერესი და უდიდესი საგანია.

და, თუმცა ეს დიდათ შავ-ბნელი ხანა ჩვენმა დემოკრატიამ უკვე განვლო გაიარა და დიდი რევოლიუციის უმაგალითო ქარ-ცეცხლში სრულიად დასწვა ფერფლად აქცია ძველი, დახავსებული ფეოდალიზმის და საშინელი დესპოტიზმის ზღუდეები, მარა მაინც ეგ. ნინოშვილის ნიჭიერათ დაწერილი სიტყვა-კაზმული ნაწერები ძალიან ბევრს საგულისხმოს და დასაფიქრებელს ეუბნება. დღევანდელ მოქალაქის სულსა და გულს. მისი ნაწერები, სადაც ცოცხლობს ჩვენთვის, დღესაც ეგნატეს უკვდავი სული, მუდამ დარჩება უტყუარ და ჭეშმარიტ ლიტერატურულ დოკუმენტად სადაც პირდაპირ, უფერუმარილოთ მოჩანს და მოძრაობს ჩვენი ახლოთ განვლილი ცხოვრება...

გურიის გლეხი, ჩვენი ქვეყნის სხვა დანარჩენ კუთხის გლეხთან შედარებით, უფრო გასაწყალებული გამოდგა! ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში გურული გლეხის წუთისოფლის ცხოვრება აუტანელი და ენით გამოუთქმელია... წვრილი შვილების პატრონს გლეხს არაფერი გააჩნია ერთი ფაცხისა, ნალიასი და ორი ქცევის საბეგრო მიწის მეტი (იხ. გ-უი შვილი). ასეთი ნივთიერი უძლურება, მართლაც, მორწმუნე ადამიანს ღმერთს აგმობინებს („გ-უიშ.“) და სიკვდილსაც მოუსწრაფებს. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირალია, რო გურული გლეხი გაურბოდეს ასეთს აუტანელს სიღარიბეს, შორდებოდეს შვენიერ გურიას და ლუკმა პურს ეძებდეს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა მხარეს. ამავე მიზეზით აიხსნება, ჩემის აზრით, ის გარემოებაც, რო გურული გლეხი, საქართველოს ყველა სხვა დანარჩენ კუთხის გლეხებზე, წერა კითხვას და მწიგნობრობას ასე ხალისით და გატაცებით უფრო ეტანება და მისდევს.

ასეთი ღრმა სიღარიბის უფსკრულში ჩავარდნილი გლეხი კაცი, მშრალზე დარჩენილ თევზივით იქით-აქით გარბიგამორბის, დობე ყორეს ედება თავისი უკიდურესი ნივთიერი მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ. მარა თავი მაინც ვერ დაუღწევია და ამ აქით-იქით თრევა წანწალში უდროოთ სული ხდება და სამარეში ვარდება. აი, ამის მაგალითად, რა შვენიერსა, მარა რამოდენით გულსაკლავ სურათს ვკითხულობთ ეგ. ნინოშვილის მოთხრობაში—„პალიასტომის ტბა“:

„—ჰე... წამოიძახა ივანემ მწარეთ,—ასეა უბედური მუშა კაცის საქმე; მუშაობს, ფაცურობს, აი, იქით, აი აქით, გაიხედავ საცხა ჩაკვდება, რავარც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდენი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკვდება, რამდენი სხვა კუთხეში და რამდენი—სად. რა არის ჩვენი სიცოცხლე...

დიახაც ილაპარაკეს იმ ღამეს მამაშვილმა. გაიხსენეს ყველა, ვინც კი იმ წელს მათ სოფელში, ან სხვა ახლო-მახლო ფათერაკით მომკვდარიყო,—ვიღაც გოგია, რომელიც ხეს ჭრიდა, ვერ გაეგო ხია წაქცევა და ხეს გაეჭყლიტა, თედორიკა, რომელსაც სიმიდის დატეხის დროს სავსე ნალიას ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო და ცოლიან-შვილებიანათ გაესრისა. პავლია, რომელიც ნიგოზის ჩამორეკის დროს, ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხივით გაეთქვიფა და, რათქმა უნდა, მოკვდა პეტრიელას ექვსი წლის ქალიშვილი, რომელიც მშობლებმა სახლში მცველათ დასტოვეს, უცფათ ცეცხლი მოეკიდა. ტანსაცმელზე და დაიწვა; მოსიკელაი, ოცი წლის ბიჭი, რომელიც ერთ ლვდელთან მოჯამაგირეთ იდგა, წყალ-დიდობას სხვებთან გაეზარენი და დაიხრჩო; ვიღაც გოგილაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ვეღარ შეიძლო და თავი მოიკლა; სამი ბავშვი, რომლებიც იმ დროს, როცა ამათი მშობლები ყანაში იყვენ, ცოფიანმა ძაღლმა დაგლიჯა ერთი მათგანი მაშინვა მოკვდა, მეორე გაცოფდა, მესამე გადარჩა, მარა დამახინჯებულია: ცალი თვალი ამოგლეჯილი აქვს, ბაგე გახეული და ხელი დაფუჭებული; ერთი ძუძუს ბოვში, რომელსაც იმ დროს, როცა დედა მისმა სადილი წაუღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დატოვა, გველი მოეხვია ყელზე, დაკბინა და გამოუთქმელს ტანჯვაში დალია სული („პალიასტ. ტბა“).

ეგნატე ნინოშვილს ბევრი ნაწერი მაინცა და მაინც არ დარჩენია. სანამ ცოცხალი იყო, ლუკმა პურის ძებნასა და შოვნას უნდებოდა და, მაშასადამე, მოცლაც არ ქონდა თავისი მადლიანი კალამი მძლავრათ და ნაყოფიერათ ემუშავებია. და მერე, უეცრათაც, ძალიან მალე გარდაიცვალა და ვერ გამოიჩინა მთელი თვისი ცოცხალი ნიჭის სიძლიერე და სიღრმე, რო ქართველი საზოგადოებისათვის უფრო მეტად გაეშალა ჩვენი ცხოვრების ჩაწყვდიადებული, დიდი დრამატიზმით სავსე სხვა და სხვანაირი კუნჭულები. იგი დრო გამოშვებით, ხან და ხან, წერდა ხოლმე და მის მიერ დაწერილ ყოველ სტრიქონში ნათლად გამოსჭვივის ნამდვილი და უტყუარი ლიტერატურული ინდივიდუალობა, საყვარელი საქმისადმი გულ დადებული, დარბაისლური მოპყრობა, დამუშავება ნაწერისა შინაარსითაც და ფორმითაც...

ეგნატე ნინოშვილი იყო იდეური მწერალი. ეს ნათლადაც ჩანს ყოველ მის მოთხრობაში, რო მწერალს სურს გაატაროს თვისი მიზანი, მისწრაფებანი და ცოცხალი იდეა. ამიტომაც, ავტორი თვის მოთხრობათა გმირების სულიერი ბრძოლისა და ტანჯვა-ვაების გამოსახატავათ სახიერების სისრულისა და განსხეულებისათვის არაფერს ერიდებოდა და თვისი კალმის მონახაზში მას შექონდა საკუთარი ტალანტის ორიგინალობა და ტემპერამენტი...

ეგნატე ნინოშვილს, ამიტომაც, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ახალი ქართული ლიტერატურის აწინდელს ისტორიაში და ლიტერატურის მიუდგომელი ისტორიკოსიც მას დააფასებს მიუცილებლად, როგორც თვისი დროის ერთ უნიჭიერეს ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის წარმომადგენელს.

1885 წ. აგვისტოს გასულს, ოდესას გამგზავრებული, ჩემს სალმერთებელ ედემში დავბრუნდი 1888 წ, მარტის თვეში. ამავე წელს, სექტემბრის თვეში, საქართველოს ესტუმრა რუსეთის იმპერიის ბძანებელი, ალექსანდრე 3 რომანოვი თვისი ოჯახით და მეკა მტაცეს ხელი და გამქაჩეს... თავი ამომაყოფინეს ფოთში, სადაც დესპოტი არ გაივლიდა. შემდეგ ამისა, მომისაჯეს პოლიციის საიდუმლო ზვერის ქვეშ ხუთმეტ წელიწადს ყოფნა („პოდ-ნეგლასნიმ ნადზორომ“), რაც კატორღაზე ნაკლები არ იყო...

ალექსანდრე მესამე, მამა ძისა—ალექსანდრე მეორე „ნაროდოვოლცებმა“ რო მოკლეს 1881 წ, პირველ მარტს, მას შემდეგ, იგი დაუზოგველი და გამწარებული, წმინდა დაუძინებელი მტერი შეიქმნა რუსეთის ინტელიგენციისა და სწავლა-განათლებისაც.

ვინ მოთვლის ენით, ან ვინ აწერს კალმით, თუ რამდენი ათასი სტუდენტი, მასწავლებელი, საზოგადოთ, ინტელიგენტი ადამიანი მოწყვიტა მშობელ ქვეყანას და ხალხს და გადაკარგა შორეულ ციმბირსა და კატორღაში, რამდენი ათასი ციხეებში ამოალპო და მოსპო მათი სახსენებელი მხოლოთ და მარტო ეჭვის აღებით, რამდენს მოუსწრაფა სიცოცხლე, ჭკუაზე შეირყა ქლექშიაც ჩავარდა. ათი ათასობით ყმაწვილ კაცობას წაართვა თავისუფლება, მოუსპო ყოველი სახსარი თავის რჩენისა, არსებობისა. ამით რუსეთის დესპოტი საუკუნოთ სპობდა ნიჭიერ მოზარდ და მოსწავლე ახალგაზრდობის კარიერას და წარმატებას...

ვინ გაუბედავდა იმ საშიშარს ხელმწიფეს მაშინ, რო თვისი გაფუჭებული შურისძიების ცუდი ცოტათი მაინც გაენელებია. მას ზოგჯერ შებედავდნენ და მოახსენებდნენ, თურმე უცხოეთიდან მოსული სტუმრები და ლიუდოვიკი მე-16-ე მაგალითზეც მიუთითებდნენ, რომელიც გილიოტინამდი მიიყვანა. მარა რუსეთის დესპოტს ამისი გაგონებაც არ უნდოდა. მან არა თუ კონსტიტუცია, ერობათა უბრალო წარმომადგენლობაც კი არ ღირს უბედურ რუსეთს, რომ სახელმწიფოს ფინანსების კონტროლი მოეწყობილიყო და რუსეთში ადმინისტრატიული წესწყობილება დამყარებულიყო.

# სიმშილი საქართველოში

**შორაპნის მაზრა.**

შორაპნის მაზრაში ზედირის თემის აღმ. კომიტეტი აუწყებს საქართ. დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტს, რომ სიმშილი ღებულობს საშიშარ ხასიათს, რომ სიმშილით სიკვდილი ხშირდება. უკანასკნელ დროს სიმშილით მოკვდა: სოფ. დეისში ალექ. და სერგო კიკნაძე, სოფ. მელითში კონსტ. ცერცვაძე, ს. ჩარტალში ცოლი და ვაჟი სარდიონ პუქიაშვილისა, სოფ. ნაბოძირში გიგო ცხოვრებაძე, საჭიროა სასწრაფო დახმარება დამშეულების, წინააღმდეგ შემთხვევაში მცხოვრებთ სიმშილი სიკვდილით ემუქრება.

**რაჭის მაზრა.** სიმშილმა რაჭის მაზრაში ისეთი სივრცე მიიღო, რომ დამშეულები სიმშილით სიკვდილისაგან თავის გადასარჩენად ზოგიერთ ადგილებზე სჭამენ ძაღლებსა.

**გორის მაზრა.** გორის მაზრის აღ. კომ. საქ დამშ. დამხმარე მთავარ კომიტეტს აუწყებს, რომ ყოველ დღე სამაზრო აღ. კომ. აწყდება დამშეულ რაიონების წარმომადგენლები და თვით დამშეული გლეხები, რომელნიც თხოულობენ საჩქარო დახმარებას. ყველაზე უფრო დამშეულა და სჭირდება დახმარება თემებს: წყრომის, დირმის, ზორჯომის, ცხინვალის, აგრეთვე ახალქალაქის სოფელის თემს, ქვემო გომის თემს, ტყვიავის, ძვერის, შინდისის თემებს, და სხვა ამ თემების მცხოვრებნი მოითხოვენ სასწრაფო დახმარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიმშილით სიკვდილი მოელისთ.

**მთავარ კომიტეტისაგან.** საქარ. დამშეულ. დამხ. მთავარ კომიტეტამდე მოაღწია ხმებმა, რომ ზოგიერთი სამაზრო კომიტეტში განურჩევლად აძლევენ მოწმობას ვაგონების უფასოთ მიღებაში სურსათის და სათესი მასალის დამშეულ ადგილებში გადასატანათ. ამისათვის მთავარი კომიტეტი აფრთხილებს მათ, რომ თუ ასეთი დაუდევარი შემთხვევები ამ წმინდა დახმარების საქმეში გამოაშკარავებულ იქმნა დამნაშავენი სასტიკათ დასჯილი იქნებიან რევოლიუციონური დროის კანონის მთელი სისასტიკით.

---

უკულტურობაზე, მუშაობის მოწყობის უუნარიანობაზე. ამხ. ლენინი ამ სამწუხარო ფაქტებს ხსნის უმთავრესად იმით, რომ ჩვენ არა გვაქვს კულტურა, არ შეგვიძლია საქმიანად შევუდგეთ მეურნეობის საკითხების გადაჭრას. „მაგრამ, რა თქმა უნდა“, განაგრძობს ამხ. ლენინი, ამან არ უნდა ჩაგვაგდოს სასოწარკვეთილებაში. ჩვენ ვაშენებთ პირველი საბჭოთა სახელმწიფოს, და ბუნებრივია რომ ყველაფერი თავის რიგზე არ ეწყობა, რომ ბევრი ნაკლულოვანება ჰქონდა პირველი ორთქლის მანქანას და პირველ ორთქლმავალს.

**ჩვენი ეტაპები.** ამხ. ლენინი აღნიშნავს ჩვენი გზის ეტაპებს. „1917 წელს, სთქვა მან, ჩვენ რევოლიუციონური გზით მოვახერხეთ გამოვსულიყავით უურეაქციონერეს ომიდან. 1918 წელს ჩვენ უნდა ამოგვერჩია ან საბჭოთა მთავრობა ან დამფუძნებელი კრება და გადავწყვიტეთ, რომ არჩევა უნდა მომხდარიყო საბჭოთა სახელმწიფოს სასარგებლოდ. 1919 და 1920 წლები ჩვენ მოვანდომეთ ჩვენ კისერზე დამჯდარ მტრების მოგერიებას (ბოლო არ არის მიღებული)...

---

გაშარდა ხელმწიფე საქართველოს და გზაში ერთს წუთს ძლივს გადარჩა ცოლშვილიანათ მოსპობას.. და მეც მაშინვე ჩემი ქვეყნის დედა ქალაქში გავჩნდი.

ტფილისში მე შევუამხანაგდი წიგნის მაღაზიას და სტამბის საქმეში გრიგოლ ჩარკვიანს. აქვე მთელ საქართველოში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა ერთად ერთი დღიური გაზეთი „ივერია“, რომელიც ღარიბ ქართულ მწერლობაში, რა თქმა უნდა, მრავალფეროვნობას და სიცოცხლეს ვერ მისცემდა. რამდენიმე კაცმა გადავწყვიტეთ შეერთებული ყოველკვირეული გაზეთი „თეატრი“ გვეყიდა (ახალის გამოცემის ნებას მაშინ არავის აძლევდნენ). ფაქტიური რედაქტორობა და კორექტურაც ამ გაზეთისა ამხანაგებმა მე მომანდვეს და საქტემბრის პირველ რიცხვებიდან გაზეთის გამოცემის საქმეც გაიჩარხა..

იმ წამსვე ამ გაზეთში სამუშაოთ საქართველოს ცნობილმა ლიტერატორებმა მოიყარეს თავი და ჩვენი დიდი მნათ ბი—აკაკიც აქ გვეწვია. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

რა კი ამდენ ლიტერატურულ ძალებს ერთი კვირეული გაზეთი ვერ გაწვდებოდა, გადავწყვიტეთ ეს გაზეთი ყოველ თვიურ ჟურნალათ გადაგვეკეთებია და ქართულ ლიტერატურაში შეგვეტანა სრულიად ახალი, ჯერ არ ნახული, წმინდა ევროპიული მხედვარე ნაკადული—პირდაპირ მარქსისტული სოციალ-მიმდინარეობა. მაშინ მეც და ვასილ წერეთელი პირველი მარქსისტები ვიყავით (იხ. ჩემი წერილები იმავე წლის „თეატრში“ გაზ. „ივერიისა“ და განსაკუთრებით, სანოს, სტ. ჭ ელაშვილის, დონ-იგოს და ნ.-ლის წინააღმდეგ დაწერილი. რამდენიმე სტატია მაშინდელმა ცენზორმა—რაფიელ ერისთავმა სულ დაიჭირა). ფილიპე და ნოე მაშინ მგოსნები იყვნენ, სემინარიის მეექვსე კლასში სწავლობდენ. იმ დროს, ჩვენ ხელის გული ძალიან გვექავებოდა და ბუნებით მონდომებულიც ვიყავით ამ ნიადაგზე მშობლიურ ლიტერატურაში გვემუშავებია და იქ ფეხი მაგრათაც მოგვეკიდებია..

ხომლელი.

(შემდეგი იქნება)

---

# გენუას კონფერენციის გარშემო

**რუსეთი და ბალტიის სახელმწიფონი.**

**ნაუენი, 29 მარტ.** გენუიას კონფერენციის რუსეთის დელეგაციამ ინახულა ბალტიის სახელმწიფოს დელეგაციები, განზრახულია მოაწყონ კიდევ ერთი შეერთებული კრება უკრაინის წარმომადგენელთა თანადასწრებით. ეს კრება დანიშნულია მომავალ კვირას ბერლინში.

**ექსპერტთა თათბირი.**

**ზორდი, 29 მარტ.** ლონდონში ექსპერტთა კრებაზე მიღებულია ერთი თვალსაზრისი: ექსპერტთა აზრით რუსეთთან ინტენსიური ვაჭრობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მთავრობა ნამდვილად მზადაა მიემხროს და პატივი სცეს: „საერთაშორისო ვაჭრობის ეტიკის ჩვეულებრივ პრინციპებს“. ექსპერთა აზრით საბჭოთა მთავრობის ამის საუკეთესო თანხმობა იქნებოდა „რევოლიუციის დროს ჩამორთმეულ საკუთრების დაბრუნება, ან და ყოველ შემთხვევაში კომპენსაციის პრინციპის მიღება“.

**შავრაზმელები ემზადებიან.**

**მოსკოვი, 21 მარტ.** „იზვესტია“-ის ცნობით, მუსსოლინმა და სავინკოვმა გამოიმუშავეს საერთო ტაქტიკა რუსეთის დელეგაციის შესახებ გენუაში. მუსსოლინმა, იტალიელთა ფაშისტების მეთაურმა უნდა შეადგინოს კონტრ-მანიფესტაციები. (კომუნისტების ყოველი მანიფესტაცია გამოიწვევს ფაშისტების კონტრ-მანიფესტაციას), სავინკოვმა კი უნდა ჯაშუშობა გასწიოს საბჭოთა დელეგაციის წევრთა წინააღმდეგ, რათა მათი ყოფა იტალიაში შეიქმნას შეუძლებელი. მუსსოლინის მოთხოვნით სავინკოვმა უნდა თავი შეიკავოს ტერორისტულ აქტებისგან. სავინკოვის აგენტებმა, რომელთაც უნდა მიიღონ საბჭოთა დელეგაცია ბერლინში, უნდა გამართონ შხამიანი პროცედურები, შეურაცხჰყონ საბჭოთა დელეგაციები (მოქმედებითაც კი) ხელი შეუწყონ სკანდალებს სადგურებზე და სხვა ადგილებზე. იტალიის მთავრობა მეტად აღშფოთებულია იმ ცნობებით, რომელიც მას მისდის საბჭოთა დელეგაციის შესახებ. იტალიის—მთავრობას რომ არ ეშინოდეს თავის პრესტიჟის დაცემისა, იგი მზადაა კონფერენცია მოიწვიოს სხვა ქვეყანაში. მუსსოლინის და სავინკოვის ურთიერთი მოლაპარაკება გაგებული აქვთ რომშიაც, ამბობენ იტალიის კომუნისტურ პარტიამ გადასწყვიტა შეადგინოს განსაკუთრებული გვარდია საბჭოთა დელეგაციის დასაცავად. აგრეთვე შიშობენ, რომ ფაშისტები გამართავენ ანტი-ფრანგულ დემონსტრაციებსაც. იტალიის მთავრობა ამის წინააღმდეგ სასტიკ ზომებს იღებს. ყველა იმ რუს მცხოვრებთა, რომელნიც კი ამ ჟამად იტალიაში სცხოვრობენ, სასტიკ თვალყურს ადევნებენ. იტალიის შინაგან საქ. მინისტრი ცდილობს ფაშისტების და კომუნისტების შორის კონფერენციის დროს დაამყაროს დროებითი ზავი.

# უცხოეთი

**საერთაშორისო დახმარება**

**ბერლინი,** „ალგემაინ ცეიტუნგი“ ზოგიერთ დაწვრილებით ცნობებს იძლევა ნანსენის უკანასკნელ მოხსენების შესახებ რომელიც გააკეთა მან რუსეთის დამხმარე საერთაშორისო კომისიაზე. ნანსენმა გაზეთის სიტყვით ხაზი გაუსვა მოუსყიდველი, ენერგიულ მოქმედებას რუსეთის დაწესებულებისას, რომელიც აწარმოებენ ბრძოლას სიმშილთან და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ ყველა უცხოელ დამხმარე ორგანიზაციებს. ნანსენმა სასტიკი პროტესტი განაცხადა წინააღმდეგ ჰელსინგფორსში მოწყობილ კამპანიისა, რომელმაც შეასუსტა დახმარება და მიიყვანა რუსეთის დამშეულ რაიონების მილიონი ხალხი სიკვდილამდე.

ნანსენის აზრით, საჭიროა დახმარება არა მარტო სანოვაგით, აგრეთვე ნახშირით, თივით და სხვა, რომ ამგვარად გაუმჯობესდეს ტრანსპორტის მდგომარეობა დამშეულ ადგილებში სურსათის ჩატანით.

**საფრანგეთის დახმარება.**

**ზორდი 27 მარტი.** 16 მარტს ბერლინში დაიდვა შეთანხმება რუსეთის მთავრობის წარმომადგენლისა და საფრანგეთის წითელი ჯვრის შორის შესახებ 6 მილ. ფრანკის კრედიტის გასანაწილებლად, რომელიც გაუხსნა საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ ვოლგის სანაპიროების დამშეულთა დასახმარებლად. შეთანხმების თანახმათ საბჭოთა მთავრობამ უნდა მოაწყოს შერეული კომისია. საფრანგეთის წითელი ჯვრის წევრები სრულს გარანტიას ღებულობენ მათი პირადი და ქონებრივი უზრუნველყოფაში.

**გავლენის ზონა**

**რომი. 25 მარტი,** ახლო აღმოსავლეთის თათბირმა დაამტკიცა სამთა შეთანხმება შესახებ გავლენის ზონისა მცირე აზიაში და შემდეგ სმირნის ევაკუაციის საკითხის განხილვას და სომხეთის აღდგენისას.

**ამერიკა ანატოლიაში**

**რომი 24 მარტი,** გაზეთების ცნობით სახელ. დეპარტამენტთან ვაშინგტონში სდგება სპეციალური აღმოსავლეთის განყოფილება, რომლის მიზანია გააძლიეროს ამერიკის გავლენა ახლო აღმოსავლეთში და განსაკუთრებით ანატოლიაში.

# ახალი ამბები

— **ფასის გადახდით წიგნებით სარგებლობა.** მთავარმა პოლიტგან. წინადადება მისცა ყველა პოლიტგანათლ. დაადგინონ ადგილობრივ სამკითხველოებში, წიგნებით სარგებლობაზე გადასახადი, რომლის დროს უნდა იხელმძღვანელონ ქალ. ტფილისში მიღებულ ფასებით ე. ი. 5000 მან. თვიურად პროფკავშირების წევრებისგან და 10,000 მ. კი ყველა დანარჩენებისგან.

— **საბიბლიოთეკო კურსები.** მთავარ პოლიტგანათლ. ბიბლიოთეკების ქვეგანყოფილებას განზრახვა აქვს ნაადრევად მოაწყოს ქუთაისსა და ბათომში ორკვირიანი საბიბლიოთეკო მოსამზადებელი კურსები, იმპირთათვის, რომლებიც ადგილობრივ ბიბლიოთეკებში იმუშავებენ.

— **შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის.** ს. პ. ს. კ. შრომის დაცვის განყოფილების კოლეგიის დადგენილებით, ბორიტებისა და შრომის დაცვის დარღვევისათვის შვიდი დღით დააპატიმრება სასამართლოს ქუჩაზე № 6 არსებული ფურნის პატრონი ავეტის პოლოსიანი.

— **მედითონეთა პროფკავშირში.** მედითონეთა ცენტრალურ პროფკავშირის მმართველობის მიერ ამორჩეულია გამგეობის ახალი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: პრეობრაჟენსკი, სიტნიკოვი და ვედერკო. ამხ. პრეობრაჟენსკის დაევალა პასუხისმგებელი მდივნობა და ორგანიზაციულ განყოფილების გამგეობა. ამხ. სიტნიკოვს კი შრომის განყოფილების გამგეობა. კულტურგანათლების გამგეთ არჩეულია ამხ. ევგენი ავადკოვი.

— **ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ტფილისის ქალ. აღმასკომის მიერ არჩეულმა კომისიამ შემადგენლობით ქალაქის მთავარი ინჟენრის ა. ა. მუხარინსკის, ა. ო. ბერიძისა და გ. კ. ახვლედიანის მიერ გამომუშავებულია პროექტი ტფილისის საგანგებო ცეცხლი საწინააღმდეგო კომისიის შესახებ.

— **წყალდიდობა** მთებში თოვლის დნობის მეოხებით ამ დღეებში მოსულ წვიმების გამო მტკვრის დონემ, ჩვეულებრივზე ორი არშინით აიწია, მაგრამ შემდეგ თანდათან დაიწყო კლება და 28 მარტს დაიწია ნახევარ არშინზე, 29-ს კი ერთი მეოთხედი არშ. თუმცა წყალდიდობამ იმ დროს მოუსწრო ავჭალის ქალაქის წყალსადენის სადგურს, როდესაც წყლის საწინააღმდეგო ყორის შენება ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დასრულებული, მაგრამ მიუხედავათ ამისა დაუსრულებელმა სიმაგრემ მაინც დიდი როლი ითამაშა, ასე რომ ქვედა ნაწილს ავჭალის კუნძულისას წყალდიდობა არ ძოელის.

— **წყ ლსაზომის შეკეთება.** ქალაქის წყალსადენისა სახელოსნო შეუდგა წყალსაზომის გაძლიერებულ შეკეთებას, წყალსაზომთა დაჩქარებით შეკეთებისათვის სახელოსნოს მუშების შტატი გადიდებულია.

— **ხაბურთალოს ამოშრობა.** სრულდება პირველი სტადია საბურთალოს ამოშრობისათვის წარმოება. საჩქარო სამუშაობის, ე. ი. საბურთალოს არხის გაწმენდის სიგრძე და სიღრმეზე, რომელშიაც მოგროვილია ამ ადგილების ჭაობის წყლები და სადმშენებლო—სასანიტარო ტეხნიკური ქვეგანყოფილება კომ. მეურნეობისა საჩქაროდ ამუშავებენ, მთელი ამ ადგილების სრულ ამოშრობის პროექტს, რათა ეს ადგილები ჯანმრთელობისათვის უვნებელი გახადონ. ამ პროექტის შედგენის და დამტკიცებისთანავე დაუყონებლივ შეუდგებიან მის განხორციელებას.

# თესვის კამპანია

(საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის საინფორმაციო განყოფილების ცნობა)

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა შინაგან საქმეთა და მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატებს:

საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მომავალ ზაფხულზე მოსალოდნელია ადგილი იქნეს გვალვას, რაიც მიმდინარე წლის მოსავალს დიდ ზიანს მიაყენებს; აღმასრულებელ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აამოძრაოს ყველა ძალები, რომელთაც ეს შეეხება, რათა ხვნა-თესვა რაც შეიძლება ადრე იქნეს დაწყებული და უსათუოდ დასრულდეს აპრილის ბოლომდე.

კომიტეტი გავალებთ თქვენ მიიღოთ კატეგორიული და ენერგიული ზომები ამ მხრით და მოაწყოთ ფართო აგიტაცია და კამპანია; ყველას მიმართ, ვინც სამუშაოს თავის დროზე არ შეუდგება შეიძლება მიღებულ იქნეს იძულებითი ზომები; შინაგან საქმეთა კომისარიატმა საჭიროა გამოსცეს სათანადო ცირკულიარი და ინსტრუქციები.

ყველა თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ზემოაღნიშნულის აღსასრულებლად აცნობეთ აღმასრულებელ კომიტეტს.

საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

ცენტრალური კომიტეტის მდივანი

თ. კალანდაძე.

# სახალხო სასურსათო კომისარიატში

**საქონლის გაცვლა რუსეთთან**

საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატი ამ ჟამად ფართო სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებს საბჭოთა რუსეთთან. თებერვლის ბოლო რიცხვებში კომისარიატმა ტფილისიდან მოსკოვში გაგზავნა მეორე სამარშრუტო მატარებელი 44 ვაგონი, რომელიც დატვირთული იყო ღვინით, დაფნის ფოთლით, ჩაით, თხილით, ხილით და სხვა საქონლით, მთელი ამ საქონლის ღირებულება დაახლოვებით 80 მილიარდ მანეთს უდრიდა. მატარებელი მშვიდობიანად ჩავიდა მოსკოვში. გაგზავნილ საქონლის ნაცვლად მარტის პირველ რიცხვებში საქართველოს სასურსათო კომისარიატმა მოიტანა ტფილისში მაღლო შემდეგი საქონელი: 1) სამი ვაგონი ფართლეული (აბრეშუმისა, მატყლისა და ბამბისა), 2) ორი ვაგონი კოპ სძალი „მედვედის“ ფირმისა და 3) ერთი ვაგონი მინის ჭურჭელი.

**ზეთის შესყიდვა**

სახალხო სასურსათო კომისარიატმა რუსეთში 1300 ფუთი ზეთი შეიძინა. 650 ფუთი უკვე მოიღო ტფილისში, დანარჩენს პარტიას ამ დღეებში მოელის.

**სასურსათო კომისარიატი ჯარს**

სახალხო სასურსათო კომისარიატმა „წითელ ჯარის კვირის“ დღესასწაულში ახალციხის ჯარის ნაწილებს იქაურ თავის საწყობებიდან მისცა: 100 ფუთი ფქვილი, ასი ფ. კართოფილი, 50 ფუთი მარილი და 25 სული ბატკანი.

**ხიმინდის დამზადება**

სახალხო სასურსათო კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა აფხაზეთის რევკომის წინაშე, რათა ნება დართოს საქართველოს განსაკუთრებულ შეერთებულ ბრიგადას დაამზადოს სამურზაყანოს რაიონში 2 ვაგონი სიმინდი.

**ტყიბულის მუშათა კოოპერატივის ფონდი**

სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, მისცეს ტყიბულის მუშათა მთლიან კოოპერატივს 50 მილ. მანეთის საქონლის ფონდი.

**საქონლის გატანა ტფილისიდან**

სასურსათო კომისარიატმა გააუქმა თავისი წინანდელი დადგენილება, რომლითაც აკრძალული იყო საქონლის გატანა ტფილისიდან რესპუბლიკის საზღვრებში. სურსათ-სანოვაგის გატანა კი კვლავ აკრძალულია.

**პროდუქტების ნორმა საზღვარ-გარედ წამსვლელთათვის**

სახალხო სასურსათო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ყველა იმ პირს, რომელიც საქართველოს გარეთ მიდის, ნება ეძლევა თვითეულ ბილეთზე თან წაიღოს სასურსათო კომისარიატის ნება დაურთველად შემდეგი რაოდენობა სასურსათო და სხვა პროდუქტებისა: 1, პურეული (გამომცხვარი) —10 გირ., 2, ფართლეული—30 არშ., 3, შაქარი და შაქრის პროდუქტები— გირ., 4, სანთელი—ხუთი კოლოფი, 5, ჩაი—სამი გირ., 6, ყველი—ათი გირ., 7, ერბო—სამი გირ., 8, ყავა—სამი გ., 9, საპონი—ხუთი გირ., 10, კრუპა—ათი გირ., და ღვინო—11 ბოთლი.

**სატყეო მასალის ექსპორტი**

სატყეო კომიტეტი სახალხო სასურსათო კომისარიატისათვის ამზადებს დიდძალს სატყეო მასალას, რომელიც საჭიროა ექსპორტისათვის. ამ მასალის ანგარიში სასურსათო კომისარიატმა ამ დღეებში სატყეო კომიტეტს მისცა თავის საწყობიდან 20.000 არშინი ფართლეული და ერთი ვაგონი მარილი.

**დახმარება დამშეულთ**

სახალხო სასურსათო კომისარიატმა ნება დართო აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს, დაამზადოს სენაკისა და ზუგდიდის მაზრაში 500 ფუთი სიმინდი ვოლგის მხრის დამშეულ ბავშვებისათვის.

# მუნიციპალური სახლები

ამ სიის გარეშე დარჩენილი სახლები საკუთრებად დაუბრუნდა სახლის მეპატრონეებს, რომლითაც სამისო მოწმობა უნდა მიიღონ ქ. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტისაგან.

**ქალაქის აღმასკომის სახლები.**

147 ანდრეევის 8, 148 კრასნოგორის 5.
149 ოლღას 3, 150, 26, 151, 6.
152 „ 66, 153, 62, 154, 53.
155 „ 49, 156, 35, 57, 29.
158 „ 60, 159, 14
160 რუსთ. 2, 161, 29, 162, 7

163 „ 13, 164, 31, 165, 17
166 „ 84, 167, 26, 168 24
170 „ 22, 171, 20, 172, 21
173 „ 19, 174, 11
175 კახეთ. 62,176, 44,177, 42
178 „ 45,175, 7,180, 1
181 „ მოედ. 1,182, 23,183, 65
184 „ 65,185, 61,186 16
187 „ 25,188 კუთ. ლ. ზ. და კახ. 1
189 პატ. ვანქის 2, დიდი ვანქის 12
191 ბელინ. 21, 192, 2, 193, 8
194 რტიშჩ. 16, 195, 15, 196 4
197 განივის 18, 198, 19, 199, 3-5-7
200 პეროვ. 3, 201. ნიკოლ. 71, 202 ნიკოლ. 75.
203 ნიკ. 73, 204, ნიკ. 37, 205, 59
206 „ 51,207. ერივ. 15, 208, ნიკ. 13
209 „ 22,210, პასტერ. 3,211 პასტ. 5
212 ვოზნ. 9 213, 7, 214. ბაზრ. ქ. 18
215 ბებუთ. 56, 216, 38,217, 58
218 „ 50, 219, 14
220 სერგ. 14, 221, 17, 222, 13
223 ველიამ. 3, 224. 12, 525, შეს. 3
226 კოჩუბ. 10, 227, 9, 228. მორჯ. 10
229 მორჯ. 17, 230 მეტეხის 14, 231 ნოვოპროექტ. 1, 52
232 კურნოსი 4; 233 დიორდ. მოედ. 6
234 მუხრ. 9; 237, მუხრ. 11; 236. კონსტან 75; 238, კონსტან. 30
238 პანასეც. 46; 239, პანას. 38; 240, პანასეც. 36
241 კიროჩნი 25, 242, მეჩნიკ. 3, 243 პასკევიჩ. 13
244 პასკევ. 8, 245, პასკ. 4, 246, პას. 1
247 „ 14, 248, „ 11, 249, ერმოლ. 9
250 ერმოლ. 2; 251 სემიონ. 4, 252 მარტყოფის 8
253 კონსტანტ. 11, 254, კორდან. 26, 28, 255, გრაფ. და სამების 10,12 256 კოტლიარევის 6
257 ვოგზ. ქ. 24, 258, ვოგზ. 13
259 „ 21, 260, „ 11
261 „ 6; 262 „ 3
264 „ 20, 265. უდელ. ქ. 3
266 უდ. ქ. 21, 267, ველიკოკნ. 21
268 ველ.-კნიაჟ. 28; 269 „ 68
270 „ 16; 271, „ 24
272 „ 55; 273, „ 70
274 „ 109; 275 გიმნაზ. 2
276 შტაბის 4; 277, შტაბის 2
278 ნაბერეჟნ. 11, 279, 19 თიფ. ქ. 2
280 კოლოუბნ. 5, 281, კოლ. 3, 282 კოლოუბნ. 7
283 მუშტაიდის 284. ინჟინერ. 2, 285 ინჟინერ. 10
286 ბარიათ. 8, 287, სასამართ. ქ. 83
288 ჭავჭავაძის 9, 289, გუნიბის 46
290 გუნიბის 10, 291, გუნიბის 45

## სავალდებულო დადგენილება ბინების შესახებ

### სავაჭრო-სამრეწველო სადგომების შესახებ.

18. ქალაქ ტფილისის ტერიტორიაზე მდებარე ყველა მუნიციპალიზაცია ქნილ სავაჭრო-სამრეწველო და საწყობების სადგომების სარგებლობისათვის. 1921 წ. ნოემბრის 1-დან წესდება ტფილისის ღმასკომის სასარგებლოდ ძირითადი საიჯარო ფასი შემდეგი ანგარიშით.

19. სავაჭრო-სამრეწველო სადგომთა ადგილმდებარეობის მიხედვით ქ. ტფილისი იყოფა 3 რაიონად, რომელიც უკვე გამოცხადებულია.

20. სავაჭრო სადგომები იყოფა ორ კატეგორიად: ა) სადგომები, რომლებშიც არის კერძო ქარხნები, სამრეწველო დაწესებულებები, სახელოსნოები, ფურნეები და კანტორები და ბ) სადგომები, რომლებშიაც სწარმოებს ვაჭრობა.

21. საიჯარო ფასი წესდება რაიონის, სადგომის კატეგორიის და სივრცის მიხედვით; სივრცის ერთეულად მიღებულია კვ. არშინი.

22. ძირითადი საიჯარო ფასი წესდება:

1 რაიონი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლი კატეგორია | 1 კვ. არშ. | 20.000 | მ. |
| 2 კატეგორია | „ „ | 25.000 | „ |

2 რაიონი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლი „ | „ „ | 15.000 | „ |
| 2 კატეგორია | „ „ | 20.000 | „ |

3 რაიონი.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლი კატეგორია | „ „ | 10.000 | „ |
| 2 „ | „ „ | 15.000 | „ |

შენიშვნა: ძირითად ფასს ემატება, თუ არსებობს: ა) ვიტრინის 5%
ბ) ეზოში გასასვლელი 3%
გ) საწყობის— — — 25%

23. დამოუკიდებელი (ცალკე) საწყობის სადგომების ფასი, რომლებშიც არ არის ვაჭრობა, გადახდება პირველი 48 კვ. არშ. დაწესებული ნორმით, ხოლო დანარჩენზე 25 პროც. იმავე ნორმისა.

24. ფასი სახელოსნო და შინა საწარმოო სადგომებისათვის და „რესტორნებისათვის" ეზოში, სარდაფში და სხ. გადახდება შემდეგი ტარიფით.

### I. სავაჭრო რესტორნები.

ა) ეზოში—პირველ სართულზე, ეზოდან მეორე სართულზე, როგორც ეზოდან, ისე ქუჩიდან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-ლ რაიონში | — — | 18.000 | მან. |
| 2 „ | — — | 15.000 | „ |
| 3 „ | — — | 12.000 | „ |

1 სახელოსნოები: ა) სარდაფში, მესამე სართულში და ზევით:
I—15.000 მ., II—12.000 მ. III—9000 მ.

2. სავაჭროების — I—15000 მან. II—12000 მ., III—9 000 მ.

3. სახელოსნოებს—I—12.000 მან. II—10 000 მ., III—8·000 მ.

შენიშვნა: ეს პარაგრაფი არ ვრცელდება რესტორნებზე, ტრაქტირებსა და სასადილოებზე.

### II სახელოსნოები არა სადარაბო ტიპის სადგომებში.

ა) ეზოდან პირველ სართულზე ყოველ არშ. პირველ 30 კვ. არშ. I—15 000 მ., II—12 000 მ. III—9.000 მ.
დანარჩენი სივრციდან I—5000 მან. II—4000 მ., III—3000 მ.

ბ) სარდაფში და მეორე სართულზე, ყოველ არშ. პირველ 30 კვ. არშ. I—12.000 მან., II—10,000 მან, III—8000 მ.
დანარჩენი სივრციდან I—4000 მან. II—3000 მ., III—2000 მ.

25. თხოვნებით სადგომების მისაცემად უნდა მიმართონ ალმასკომის კომუნალურ განყოფილებას.

26. ყოველ გადამხდელს სადგომის, ეძლევა სარეგისტრაციო წიგნაკი, სადაც აღნიშნულია: ა) ქუჩა, №, სახლი, რაიონი და № საბინაო მოწმობისა, ბ) კატეგორია, გ) სივრცე, დ) ძირითადი ფასის რაოდენობა, ე) ფასი მიმატებითი ფაქტორებისა და ე) საერთო ჯამი ფასისა. სარეგისტრაციო წიგნაკი სდგება ორ ეკზემპლიარათ, რომელთაგან ერთი ეძლევა გადამხდელს.

27. საიჯარო ფასი უნდა შეიტანოს გადამხდელმა ალმასკომის კასაში ყოველთვიურად, თვის დასაწყისში, რაც აღინიშნება წიგნაკში.

შენიშვნა: დროებით ფასის გადახდა ხდება ქალ. ალმასკომის კასის კვიტანციებით.

28. მოიჯარადრეებს ევალებათ: მონაწილეობა მიიღონ მთელი შენობის კაპიტალურ რემონტში, მთელი მიმდინარე რემონტი სადგომისა, სისუფთავით დაცვა როგორც სადგომის, ისე მის ახლო მდებარე ქვაფენილის და შესრულება ყველა სანიტარულ და ადმინისტრაციულ განკარგულებებისა.

მოიჯარადრეებს ეკრძალებათ აწარმოონ ვაჭრობა სადგომს გარეშე.

29. სადგომის სასწრაფოდ დაცლის დროს, მოიჯარადრე ვალდებულია აცნობოს კომუნალურ განყოფილებას და გადასცეს მას სადგომი.

30. საიჯარო ფასის შეუტანლობისათვის აღნიშნულ ვადაში, გადახდება დღეში 5 პროც. ჯამისა, ხოლო თუ ეს 20 დღეზე მეტს გაგრძელდა, მას სადგომი ჩამოერთმევა.

31. დადგენილება სადგომებიდან გამოსახლების შესახებ ადგენს ალმასკომის კომუნ. განყ., თანახმად ინსტრუქციისა.

32. ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან.

33. ყველა დღემდი გამოცემული დადგენილებები, რაც ამას ეწინააღმდეგება გაუქმებულ იქნეს.

ალმასკომის თავმჯდ. მაგიერ **წივწივაძე.**

## დიმიტრი ყიფიანი

(გაგრძელება)

ამ მთავარი მართებლის გამგეობა გაგრძელდა 1865 წლამდე, ამის შემდეგ, მის მაგიერ დანიშნული იქმნა ალექსანდრე იმპერატორის ძმა მიხეილ ნიკოლოზის ძე, ამ პირის გამგეობის დროსაც დიმ. ყიფიანს არ მოჰკლებია თავის შესაფერი პატივისცემა და თანამდებობის მინდობილობა. მიხ. ნიკოლოზის ძე დიმ. ყიფიანის დიდი მთავაზებელი და პატივის მცემელი იყო. ეს მიხეილ ნიკოლოზის ძე საქართველოში კარგა ხანს დაშთა, იგი აქ იყო იმ დროსაც, როცა 1877 წ. რუსეთის და ოსმალეთის ომი დაიწყო.

ამის დროსაც დიმ. ყიფიანის სახელს ისეთი სახელოვნება ჰქონდა, რომ ერთ დროს, იგი თფილისში არჩეული იქმნა ქალაქის თავად. ამის კანდიდატურა დიდის პატივისცემით წარმოადგინეს თვით ქალაქ თფილისის სომხებმა და მათმა პრესამაც. დიმ. ყიფიანი ქალაქის თავად დარჩა რამდენსამე ხანსა. ამ ხნის განმავლობაში რუს-ოსმალთა ომიც გათავდა და ამის შემდეგ მოხდა ის, რომ დიმ. ყიფიანიც გამოვიდა ქალაქის თავის სამსახურიდამ.

მცირე ხანს შემდეგ მოხდა ისიც, რომ რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ საქართველოს მთავარ მართებელი მიხეილ ნიკოლოზის ძეც გამოცვალეს თავის თანამდებობიდამ და მის მაგიერ დანიშნეს გრაფი დონდუკოვ-კორსაკოვი.

ვიდრე ეს მოვიდოდა, მოხდა ისიც, რომ თფილისის გამგეობიდამ გასული დიმ. ყიფიანი ერთ ხმათ არჩეული იქმნა იმერეთის თავად-აზნაურებისაგან ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურების მარშლათ. ამის დანიშვნას არაფერი ეწინააღმდეგებოდა და ვიდრე კორსაკოვი მოვიდოდა საქართველოში, მინამ დიმ. ყიფიანი უმაღლესის მთავრობისაგან უკვე დამტკიცებული იქმნა მარშლათ.

მინამ ეს მოხდებოდა, პეტროგრადიდამ დიმ. ყიფიანს წერილი მოუვიდა და იქ იბარებდა მას ლორის მელიქოვი, რომელიც იმ დროს რუსეთის შინაგან საქმეებს მართავდა და თან კიდევ რუსის რევოლიუციონურ სოციალისტების მოწესრიგების და დამშვიდებას სცდილობდა, დიმ. ყიფიანმა თავის ძველს მეგობარს ლორის მელიქოვს ხათრი არ გაუტეხა და პეტროგრადში წავიდა, ხოლო ლორის-მელიქოვისაგან მიწვეულს თანამდებობაზედ კი არ დარჩა.

დიმ. ყიფიანმა იქ ყოფნით ისარგებლა და პეტროგრადში მოახერხა და ცალკე წიგნათ გამოსცა თავისაგან შედგენილი ქართული გრამატიკა, ვრცელი ტომი, რომელ გრამატიკასაც მან ზედა ფურცელზედ ასეთი შენიშვნა წააწერა: „სხარტულათ შედგენილიო" ე. ი. ვგონებთ გრამატიკა არა მეცნიერულათ შედგენილიაო. მიუხედავათ იმის, რომ დიმ. ყიფიანი ამ გრამატიკას სხარტულათ შედგენილს უწოდებს, მან მაინც კარგი ადგილი დაიკავა ქართულ გრამატიკულ მწერლობის ასპარეზედ.

დიმ. ყიფიანი დროით დაბრუნდა საქართველოში, ეს გარემოება თურმე დონდუკოვ-კორსაკოვს არათ მოეწონა. ეს კაცი კარგა მოხუცებული იყო და ამისაგან ცოტათი გამოჩერჩეტებულიც. ამას დიმ. ყიფიანის რაღაც ჯავრი სჭირდა და მისი საქართველოში ყოფნა არათ მოსწონდა, მაგრამ ვნებით კი ვერას ვნებდა, რადგანაც დიმ. ყიფიანი იმერეთის თავად-აზნაურთა მარშალი იყო და იგი რუსეთის პოლიტიკაში არ ერეოდა.

დონდუკოვ-კორსაკოვს, როგორც გამოყრუებულს და ცერცეტს გამხეცებულს მართველს, რომელიც ხშირად ულოღიკოთ მოქმედებდა, მას ქართველი ერი თვალებში რაღაც უმეცრების მახვილათ ელანდებოდა, მოხდა ისეთი საქმენიც, რომ სწორეთ იმ დროს, პეტროგრადის უმაღლეს სამხედრო ნაწილის სამართველოში ირჩეოდა კავკასიის ტომთა საქმენი და მასთან უნდა მოწესრიგებულიყო შემდეგ საქართველოდამ პირველათ რუსის მთავრობისაგან ჯარის გაყვანის საქმე, რომელი გარემოებაც დაწყებული იყო თვით იმ დროდამაც, როცა საქართველოში განაგებდა მიხეილ ნიკოლოზის ძე.

მოხდა ისიც, რომ ამ გარემოების კითხვები პეტერბურგში გათავდა და იგი თფილისში იქმნა გადმოტანილი და განსახილველათ დასმული კავკასიის შტაბის გენერალიტეტის წინაშე. ეს გარემოება აქ უნდა გარკვეულიყო, აქ უნდა მოწესრიგებულიყოს მისი წესები და მერე უნდა მომხდარიყოს მთელის კავკასიის ქრისტიანობისაგან პირველათ ჯარის გაყვანის საქმე და ამით უნდა დამყარებულიყოს ამ ჯარის გაყვანის სამუდამო წესები.

ამ ჯარის კაცთა გაყვანის საქმე თავისთავად ქართველებში ადვილათ ხერხდებოდა, ამის ეჭვი და რუსის მთავრობის შიში არ ჰქონდა მასზედ, რომ იქნება ქართველებმა ჯარის გაყვანაზედ წინაღმდეგობა გასწიონო. სწორედ ამ დროს, დონდუკოვ-კორსაკოვს, თავის მოხუცებლობის და უნიჭობის გამო, ძალიან დიდი შიში ჰქონდა მასზედ, რომ მე მემტერება მიხეილ ნიკოლოზის ძე და ვაი თუ მე გამომცვალონო. ამის შიში ჰქონდა მას დიდათ და მას არც ის მოსწონდა, რომ მიხეილ ნიკოლოზის ძე ბორჯომიდამ ქვიშხეთში დიმ. ყიფიანის ჯერ მეზობელი იყო და მერე მეგობარი.

დონდუკოვმა იცოდა კარგად, რომ მიხ. ნიკოლოზის ძე დიდი პატივისმცემელი იყო დიმ. ყიფიანის. ამ გარემოებას მან გამოუძებნა ის ბოროტება, რომ მან ქართველი ერი რუსეთის მოღალატედ გამოიყვანა, გაავრცელა ის აზრები, რომ მიხ. ნიკოლოზის ძე ქართველ ხალხს უყვარს, ქართველებს სურთ, რომ საქართველო რუსეთის იმპერიას ჩამოსცილდეს და მათ თავიანთ მეფედ სურთ, რომ მიხეილ ნიკოლოზის ძე დასვან. ეს ჭორები ქოფაკმა კარგად მოაწყო და მოაჭორა. ამ ჯარების ცნობები მან ალექსანდრე მესამესაც აცნობა და თან ისიც დასძინა მას, რომ თქვენს ბიძას ამ საქმეში დიდს დახმარებას უწევს ქართველი მოღვაწე დიმ ყიფიანი, რომელიც ეხლა ქუთაისის გუბერნიის მარშალიაო.

ამ ჭორებით დონდუკოვ-კორსაკოვმა საქმე გაიკეთა და ალექსანდრე ლოთი იმპერატორის წინაშე საქმე გაიკეთა, თვით გამოვიდა დიდს ენერგიის კაცად და დიმ. ყიფიანი დახატა როგორც მიხ. ნიკოლოზის ძის მეგობარი და მტერი რუსეთის მონარქიის, უნიჭო ალექსანდრე მესამემაც ასე იწამა ყოველივე. ამ დღიდან რუსეთის მთავრობამ დიმ. ყიფიანი იცნა საშიშ ბოროტ კაცად და მასთან ღირსიც მის, რომ იგი დევნას უნდა მისცემოდა. ეს გარემოება გამოყრუებულმა დონდუკოვმაც იცოდა კარგად, ამიტომ ეს უფრო გათამამდა თავის ბოროტებით და დაუწყო რუსეთში უმაღლეს მთავრობას და თვით ალექსანდრე მესამეს ასეთი ცნობების მიცემა და გზავნა.

ქართველი ერი, რომ წინააღმდეგია რუსის სახელმწიფოსი, ეს ნამდვილი საქმეა. ამათ ბოროტების შესახებ სომხებმა ბევრი რამ ცნობები იციან და ესენი, როგორც რუსეთის სახელმწიფოს ერთგულნი, ქართველების ბოროტებაზედ ბევრს რამე ცნობებს ლაპარაკობენ. ამათი ლაპარაკი სულ მართალია, რადგანაც კავკასიის ტომებში ესენი ყველაზედ უფრო ერთგულები არიან რუსეთის მთავრობისა. აი ეხლა ქართველები დაამტკიცებენ თავიანთ ორგულობას და ჯარის გამოსასვლელად არ გამოვლენ, ბუნტს იზამენ და მით დამტკიცდება მათი ღალატი და მიხ. ნიკოლოზის ძის მიმხრობა, რასაც დიდათ ხელს უწყობს დიმ. ყიფიანიც.

ეს ცილი და ბოროტება დიმ. ყიფიანმა კარგათ შეიტყო და მან, როგორც იმერეთის თავად-აზნაურების მარშალმა ალექსანდრე მესამის გამგეობას მოხსენება გაუგზავნა და ქართველ ერს თავიდან მოაცილა ის ჭორი და ცილი, რასაც მათ დონდუკოვი სწამებდა დიმ. ყიფიანი უმაღლეს მთავრობას და ალექსანდრე მესამეს უსაბუთებდა სხვა და სხვა ცნობებით, რომ ქართველი ერი ჯარში წასასვლელად სიამოვნებით გამოვა, ქართველი ერი არ აჯანყდება, ქართველი ერი რუსეთის სახელმწიფოს დიდი ერთგულია, ქართველ ერს თვისი ერთგულება რუსეთის წინაშე ბევრჯერ დაუმტკიცებია, ეს ეხლაც [illegible] იქნება ცუდი და მტრული ქართველის ერისაგან რუსეთის [illegible] წინაშე არაფერი მოხდება.

ამ დროს, თურმე კორსაკოვი პეტერბურგში იყო, ამან კარგად შეიტყო დიმ. ყიფიანის ცნობები, როცა პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა, მაშინ მან დიმ. ყიფიანს იმერეთში წერილი მისწერა და შეუთვალა, რომ ხელმწიფე იმპერატორი თქვენ დიდათ გემდურებათ და საყვედურს გითვლისთო. დიმ. ყიფიანმა ასეთი პასუხი მისცა.

„მე ვარ თავად-აზნაურების მარშალი, იმპერატორი ალექსანდრე თუ მემდურება, მაშინ მისი მდურვა მე უნდა მომივიდეს თვით მისგან, მისი კანცელარიიდან და არა თქვენგან".

ამ გარემოებამ უფრო გააბრაზა დონდუკოვი დ. ყიფიანზედ და ამისი მტრობაც უფრო მოემართა დ. ყიფიანის წინააღმდეგ და ვნებით კი ვერასფერს ვნებდა იგი. რაც დრო გადიოდა, მით კორსაკოვის მტრობა და ბოროტებაც უფრო დიდს მიმართვას იღებდა და უფრო ბოროტებით იმოსებოდა, მაგრამ მას არც დიმ. ყიფიანი ევარდებოდა ძირს და ამიტომ კორსაკოვი მასზედ უფრო ბრაზდებოდა და აღარ იცოდა რა ექმნა და საიდან როგორ ეშველა საქმისათვის, რომ დიმ. ყიფიანი საქართველოდან მოეცილებინა.

ამ ბოროტს განზრახვასა და გარემოებას აი რა დაეხმარა და რამ გაუწია ქომაგობა. სწორედ იმ დროს, ტფილისში, ქართული სასულიერო სემინარიის რექტორად იყო ჩუდეცკი და საქართველოს ეგზარხოსად იყო პავლე არხიეპისკოპოსი—დონდუკოვ-კორსაკოვის კარგი მეგობარი და მასავებ ბოროტი და ქართველი ერის დაუძინებელი მტერი.

ამ ბოროტის განზრახვას და გარემოებას აი რა დაეხმარა და რამ გამოიწვია მისი ქომაგობა. სწორედ იმ დროს, ტფილისის ქართულ სემინარიის რექტორად იყო მღვდელი ჩუდეცკი. იმავე დროს საქართველოს ეკლესიის ეგზარხოსად გახლდათ პავლე რუსი, დონდუკოვის კარგი მეგობარი და მისავებ ბოროტი და დაუძინებელი მტერი ქართველი ერისა, როგორც ეგზარხოსი, ისევე რექტორიც სემინარიისა იყვნენ რუსული ხულიგანები და დაუძინებელი მტრები რუსეთის საუკეთესო 60 წლების მწერლების და მოღვაწეების.

როგორც რექტორს, ისევე მის ინსპექტორს, სასტიკად სძულდათ რუსეთის განახლებული მოძრაობა და იგინი რუსეთის საუკეთესო მწერალს დ. პისარევს პირივით უყურებდნენ, ისევე დობროლიუბოვს, ჩერნიშევსკის და ყველა ამათ დროის რუსეთის განმანათლებელს მწერლებსაც ხომ ისე უმზერდნენ, როგორც რუსეთის მონარქიის დაუძინებელ მტრებს. რექტორი დ. პისარევის ნაწერებს ასე ახსენებდა ხოლმე შეგირდების წინაშე „საბაჩი ვსმიტკიო" არ ვიცი რუსის ბერის შეხედულებით ეს კიცხვის სიტყვები რას ნიშნავს.

რექტორი რუსეთის ასეთ საუკეთესო მწერლების და მათის ნაწერების ისეთი მტერი იყო, რომ მას პირივით სძულდა თვით ბელინსკი, მისი ნაწერები და ხსენებაც კი, ასევე იგი სასტიკი მოძულე იყო სოციალური განვითარების და ამ განვითარების მიზეზებს იგი სულ პოლონელებს აბრალებდა და მასთან მათს სისხლს სვამდა იგი ყოველთვის, პოლონელების ბოროტების შესახებ ეკლესიაშიაც კი ჰქადაგებდა.

(შემდეგი იქნება)

**ზ. ჭიჭინაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი